პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# БОЕВОЙ СТРАЖ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
Газета выходит с 1926 года.

№ 7 (2102) კვირა, 16 თებერვალი 1986 წელი. ● ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ИЗ ОФИЦИАЛЬНЫХ СООБЩЕНИЙ

◆ Вышел в свет тематический сборник «Ускорение социально-экономического развития страны — задача всей партии, всего народа». В него включены материалы Пленумов ЦК КПСС, доклады, речи и выступления М. С. Горбачева ,выдержки из опубликованных в печати информаций «В Политбюро ЦК КПСС», постановления Центрального Комитета партии, а также совместные документы ЦК КПСС, Совета Министров СССР и ВЦСПС.

◆ Указом Президиума Верховного Совета СССР за большие заслуги перед Коммунистической партией и Советским государством и в связи с восьмидесятипятилетием со дня рождения кандидат в члены Политбюро ЦК КПСС, первый заместитель Председателя Президиума Верховного Совета СССР тов. Кузнецов Василий Васильевич награжден орденом Ленина.

## საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში

**პარტიის** თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანოებისა და ქვედანაყოფების დაკომპლექტების მდგომარეობის, მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა და თბილისის მილიციის ავტორიტეტის ამაღლების საკითხი. აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით ხორციელდება გარკვეული მუშაობა, რომლის მიზანია ჩვენს დედაქალაქში საზოგადოებრივი წესრიგისა და მთლიანად ოპერატიული მდგომარეობის გაუმჯობესება. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქალაქის შინაგან საქმეთა ორგანოების დაკომპლექტება ყოველთვის სრულად როდი შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, ხორციელდება ცალმხრივად, ხშირად ფორმალურად, კადრების საქმიანი პირადი, პოლიტიკური თვისებების გაუთვალისწინებლად. ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი უხეშობის, უტაქტობის, გამოძალვისა და სხვა ნეგატიურ მოვლენათა ფაქტები, რაც უარყოფითად მოქმედებს დედაქალაქის მილიციის ავტორიტეტზე. ბიურომ ჩათვალა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა ორგანოების დაკომპლექტებისათვის გაწეული მუშაობა სრულად არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა მოთხოვნებს. დასახულია ზომები ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, პარტიული გავლენის გაძლიერების, მილიციის მუშაკთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის, კანონებისა და საწესდებო მოთხოვნათა განუხრელად შესრულებისათვის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს ორგანოებში სამუშაოდ შრომითი კოლექტივების, კომკავშირელების, ახალგაზრდობის საუკეთესო, ყველაზე ღირსეულ წარმომადგენელთა ჩაბმისათვის თბილისის მკვიდრთაგან.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა აგრეთვე საკითხი მაისურაძისა და სხვა დამნაშავეთა პარტიაში მიღების, შრომითი მოწყობისა და სასწავლებლებში შესვლის დროს დაშვებული უხეში დარღვევების, წაყრუებისა და პროტექციონიზმის შესახებ, რის თაობაზეც ქალაქის საზოგადოებრიობა ინფორმირებულია მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით. ამ საკითხზე მიღებული დადგენილება გამოქვეყნდება საქალაქო გაზეთებში.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოსა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტგანყოფილების 1986-1987 წლების ერთობლივ ღონისძიებათა გეგმა.

ბიურომ განიხილა აგრეთვე ქალაქის სოციალური და კულტურული განვითარების სხვა საკითხები.



Встреча выпускников со слушателями состоялась недавно на Тбилисском факультете Московской высшей школы милиции МВД СССР.

На всех кафедрах шел заинтересованный и полезный разговор выпускников с преподавательским составом школы. В этот день школу посетили и руководители горрайорганов внутренних дел, различных служб УВД Тбилгорисполкома.

Во время встречи были высказаны пожелания по улучшению организации учебного и воспитательного процесса.

На снимке: участники встречи (слева направо): лейтенант милиции Н. Битаришвили, слушатель И. Логвинов и лейтенант милиции Г. Осишвили

Фото С. Сычева.

# ПОДНИМАЯ АВТОРИТЕТ МИЛИЦИИ

**На XXVII съезде Компартии Грузии отмечалось, что борьбу с частнособственническими тенденциями — бескомпромиссную и непримиримую — вместе с партийными, советскими, профсоюзными организациями должны вести административные органы, роль и ответственность которых за укрепление общественного порядка неизмеримо возрастают.**

Советская милиция всегда находилась на переднем крае борьбы за правопорядок. Однако приходится самокритично признать, что далеко не все еще в деятельности органов внутренних дел республики было на уровне требований современности, за что они подверглись резкой, но справедливой критике на недавно состоявшемся форуме коммунистов республики.

Одной из основополагающих проблем, которую всем нам независимо от места работы и профессии, предстоит решать на данном этапе, является проблема всемерного повышения человеческого фактора. Вопрос кадров является ныне узловым, центральным. Везде. В том числе, разумеется, и в органах внутренних дел. И ситуация сегодня сложилась так, что во главу угла при отборе кандидатур, направляемых на службу в милицию, при проверке ее личного состава мы прежде всего обязаны самым пристальным образом оценивать такие качества сотрудников, как партийная, человеческая чистота и добропорядочность. Иначе говоря, в широкоизвестной триединой формуле — характеристике основных качеств чекиста, принадлежащей Феликсу Эдмундовичу Дзержинскому, — «холодная голова, горячее сердце и чистые руки», — значение «чистых рук» неизмеримо возрастает.

Я глубоко убежден, что бороться за укрепление социалистической законности имеет моральное право лишь тот, кто сам безупречен. Это истина, не требующая доказательств. Руководствуясь ею, руководствуясь требованиями партии к деятельности милиции, коллектив сотрудников Сабурталинского районного отдела внутренних дел г. Тбилиси, его первичная партийная организация, самым бескомпромиссным образом ведем работу по поднятию престижа работника милиции, очищению наших рядов от недостойных коллег. В последнее время за серьезные нарушения в служебной деятельности были уволены из органов внутренних дел и освобождены от занимаемых должностей несколько офицеров нашего райотдела, ряд сотрудников подвергся строгим дисциплинарным взысканиям. Принципиальную позицию в этой борьбе с недобросовестными работниками занимает наша первичная партийная организация. За последний год при заслушивании отчетов коммунистов и утверждении их партийных характеристик на четверых членов партии были наложены строгие партийные взыскания.

Из чего складывается престиж сотрудника милиции, из каких компонентов? Из очень многих. Обратился гражданин в милицию. По тому, как его здесь встретили, он и судит о нас. Но люди идут в милицию лишь в крайних случаях. А большинство составляют о ней впечатление по рядовым милиционерам, несущим свою службу на посту. Именно с них начинается авторитет милиции, именно они на виду у всех — и местных жителей, и гостей столицы республики, которые зачастую по ним судят о культуре и порядке в городе.

Между тем проблема формирования рядового состава у нас, как, впрочем, и во всех других райотделах внутренних дел г. Тбилиси, стоит весьма остро. Достаточно сказать, что из 39 ночных милиционеров нашего района лишь двое — тбилисцы. Остальные же жители близлежащих к нему сельских районов. Более того: среди них есть и жители соседних братских республик. Мы с уважением относимся ко всем этим работникам, представителям самых различных национальностей. Но ведь среди них есть и такие, которые не знают никакого другого языка, кроме своего родного, что крайне затрудняет должное несение ими службы. Да и, честно говоря, трудно нести ее образцово, если милиционер зачастую не знает хорошо свой участок, район, город в целом.

**Летом прошлого года трое мужчин похитили с целью вымогательства выкупа шедшую на работу женщину. Ее с завязанными глазами похитили, привели к себе домой, где, не снимая повязки, униженную, оскорбленную и напуганную, продержали до вечера. Затем вынудили пойти домой и вынести им крупную сумму выкупа. Ни сама женщина, ни ее родные не сообщили об этом преступлении в милицию. Не обратились они сюда и тогда, когда те же трое преступников стали повторно вымогать у прежней своей жертвы деньги.**

Однако нам все же стало известно об этом дерзком преступлении. В результате оперативных действий работников милиции удалось установить и задержать преступников, коими оказались отец и двое сыновей. Отец, Кукури Гвазава, рабочий городской конторы по озеленению, был уволен за прогулы. В прошлом Гвазава — старший имел судимость за разбой и его сын Гоча, который вел паразитический образ жизни. Другой сын, Паата, как и отец, подвизался в качестве рабочего в городской конторе по озеленению, но в сентябре прошлого года уволился оттуда, а вскоре совершил кражу.

О личностях всех трех Гвазава, их весьма сомнительном образе жизни не могло не быть известно соседям. Но те занимали позицию невмешательства. Более того: когда преступники вели похищенную с улицы женщину с завязанными глазами к себе домой, им встретился на лестнице какой-то сосед. Он поздоровался и как ни в чем не бывало, прошел мимо. Прошел мимо охающей женщины с завязанными глазами, которую вели отец и сыновья Гвазава. К сожалению, личность этого соседа, придерживающегося позиции «моя хата с краю», не удалось установить.

Сошлюсь на пример, подтверждающий, что борьба с нарушениями социалистической законности шла куда бы успешнее, если бы работникам милиции активнее помогало население.

(Окончание на 2-й стр.)

# ისმენენ კომუნისტის ანგარიშს, ამტკიცებენ დახასიათებას

პარტიული ორგანიზაცია დღენიადაგ დაინტერესებულია მის თითოეულ წევრს ჰქონდეს აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, მუშაობდეს ნაყოფიერად, კეთილსინდისიერად, შემოქმედებითს ძიებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობდეს გატაცებით, იყოს სამაგალითო მოქალაქე, განყოფილებისათვის სასახელო, ოჯახისათვის საამაყო. თუ ასე არ არის, მაშინ არა ერთი საფიქრალ-სატკივარი ჩნდება...

საგარეჯოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ღია პარტიულ კრებაზე მოისმინეს არასრულწლოვანთა ინსპექციის უფროსი ინსპექტორის ნუგზარ მიხეილის ძე ბუზიაშვილის ანგარიში. იგი თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ახალგაზრდა კომუნისტთა რიცხვს, პარტიაში ყოფნის თერთმეტი წლის სტაჟი აქვს. ეს საკმაო დროა იმისათვის, რომ თავი გამოეჩინა ენერგიულობით, განყოფილების ღირსებისათვის აქტიური ბრძოლით.

ნ. ბუზიაშვილი დაიბადა 1984 წ. საგარეჯოს რაიონში. სკკპ წევრია 1975 წლიდან. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება. 1969 წ. სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1976 წელს.

შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობა დაიწყო 1978 წლიდან, ხოლო 1984 წლიდან მუშაობას იწყებს საგარეჯოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის ინსპექტორად, ხოლო შემდეგ უფროს ინსპექტორად.

ღია პარტიულ კრებაზე თანამშრომელთა წინაშე გაწეული მუშაობის ანგარიშით წარსდგა ნ. ბუზიაშვილი, მან აღნიშნა ყოველი ის დადებითი და უარყოფითი მხარე, რომელიც -მას ახასიათებს მუშაობაში.

კომუნისტის ანგარიშის გამო კრებაზე თავის აზრი გამოთქვეს შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილემ, მილიციის მაიორმა რ. ტაბატაძემ, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა ნ. აბრამიშვილმა, საპასპორტო ქ/განყოფილების უფროსმა, მილიციის კაპიტანმა გ. ხუციშვილმა, გამომძიებელმა, მილიციის კაპიტანმა მ. ქალაქურაშვილმა. მათ ნ. ბუზიაშვილი დაახასიათეს, როგორც ნიჭიერი, შრომისმოყვარე და ინიციატივიანი, რომ ის თანამშრომლებს შორის პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობს. ჰქონდა სირთულეები, მაგრამ მას ყოველთვის მეგობრები ედგნენ მხარში. საგარეჯოს შინაგან საქმეთა განყოფილებაში მუშაობის მანძილზე მის მიერ მრავალი ძნელადაღსაზრდელი მოზარდი იქნა გამოსწორებული და ჩაბმული შრომით საქმიანობაში. მან თავი გამოიჩინა, როგორც მინდობილი საქმის კარგად მცოდნემ, იგი აქტიურად იბრძვის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის. აღინიშნა, რომ კომუნისტი ნ. ბუზიაშვილი პირნათლად ასრულებს პარტიული ორგანიზაციის დავალებებს, არის ენერგიული და შრომისმოყვარე მუშაკი.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მხოლოდ იმ პირობით შეიძლება. თუ სისტემატიურად იფართოებ შენს პოლიტიკურ დონეს, იუფლებ პროფესიულ ოსტატობას, სრულყოფ შენში საუკეთესო ადამიანურ თვისებებს. სწორედ ამ სრულყოფისაკენ მიისწრაფის ნუგზარ ბუზიაშვილი.

კრებაზე აღინიშნა, რომ ნ. ბუზიაშვილის მიერ გაწეული მუშაობა აკმაყოფილებს დღევანდელი მოთხოვნების დონეს და ღია პარტიულმა კრებამ ერთხმად დაამტკიცა მისი პარტიული დახასიათება.

**თ. ხაბულიანი**

# მართლწესრიგის სადარაჯოზე

წითელსამკლაურიანი ადამიანები ჩვეულებრივი მოვლენაა ქალაქის ქუჩებში და მოედნებზე. ეს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები არიან, სამუშაოსაგან თავისუფალ დროს ისინი მილიციის თანამშრომლებთან ერთად დგანან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე, იცავენ საბჭოთა მოქალაქეების სიწყნარეს და ღირსებას. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ლოთების, ხულიგნების, სოციალისტური თანაცხოვრების წესების დამრღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ტყიბულის სახალხო რაზმეულთა შტაბი 60 რაზმს აერთიანებს. რაზმელთა რიცხვი კი 900 კაცს აღემატება. გასულ წელს შეიქმნა აგრეთვე ავტოსაგზაო სახალხო რაზმეულთა შტაბი 9 კაცის შემადგენლობით. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სახალხო რაზმეულთა ხარისხობრივი შემადგენლობა. აქტიური საქმიანობისათვის ერთი წლის მანძილზე 230-ზე მეტი სახალხო რაზმელი იქნა წახალისებული, ხოლო რაზმელმა ჯუმბერ აბესაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულებით მიიღო მედალი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში წარჩინებული სამსახურისათვის".

წესრიგის დამრღვევთა გამოვლინების საქმეში თავი ისახელეს მოწინავეშა ხანძრების ჩაქრობისა და პროფილაქტიკის სამმართველოს, სამთო მაშველი რაზმის, ენერგოსამმართველოს და სხვა საწარმო-დაწესებულებათა სახალხო რაზმელებმა. ქების ღირსია ტყიბულშახტმშენის სამმართველოს რაზმელების გ. ჯიშიაშვილის, გ. ბერუაშვილისა და სხვათა აქტიური მოქმედება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი საწარმო-დაწესებულების სახალხო რაზმელები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მინდობილ საქმეს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ირღვევა რაზმელთა სამორიგეოდ გასვლის ნორმები. შტაბში ცხადდებიან გათვალისწინებულზე ნაკლები რაზმელები, რაც აძნელებს ჯგუფების დაკომპლექტებას, ზოგჯერ ადგილი აქვს მორიგეობის თვითნებურად მიტოვებას, დანაშაულისადმი თვალის არიდებას და სხვ. სამორიგეოდ სრულყოფილად არ ცხადდებიან სახალხო რაზმელები ისეთი საწარმო-დაწესებულებებიდან, როგორიცაა № 22 საგზაო-საექსპლუატაციო უბანი, ტყიბულშახტმშენის სამმართველო, საქსოფლდამზადების კანტორა, შახტმონტაჟის უბანი, სახდაზღვევის ინსპექცია, აგროსამრეწველო გაერთიანება და სხვ. მეტად დაბალია კომკავშირელ რაზმელთა პროცენტული მაჩვენებელი.

მეტ ორგანიზატორულ სრულყოფას საჭიროებს სახალხო რაზმელების საქმიანობა შახტების ტერიტორიებზე და სოფლად, რასაც გარკვეული თავისებურებანი გააჩნია.

სამართალდარღვევებთან ბრძოლის გააქტიურების, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში სახალხო რაზმელთა როლის ამაღლების ახალი პასუხისაგები ამოცანებია დასახული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ".

საწარმო-დაწესებულებათა პარტიულმა, სამეურნეო, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ყოველდღიური ყურადღება უნდა მიაპყრონ სახალხო რაზმელთა საქმიანობას, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლის გააქტიურებას.

# ПОДНИМАЯ АВТОРИТЕТ МИЛИЦИИ

(ОКОНЧАНИЕ. Начало на 1-й стр.).

**Не так давно на чердаке одного из жилых домов два тринадцатилетних подростка нашли 18 тысяч рублей. Кто их здесь припрятал, так и осталось неизвестно. Но речь сейчас о другом. Подростки рассказали о находке двум своим приятелям, и почти два месяца несовершеннолетние беспечно тратили эти поистине бешеные деньги: покупали дорогие магнитофоны, мопед, часы, импортные сигареты, словом, щедро сорили деньгами направо-налево, одаривая и угощая одноклассников, соседей и пр. И, представьте, не нашлось никого, кто бы обратил внимание на поведение этих ребят, кто бы забил тревогу, видя, как через их руки проходят дорогие вещи. Подобная позиция невмешательства взрослых привела к тому, что подростки, развращенные шальными, легкими деньгами, когда те кончились, обокрали машину.**

Предвижу вопрос: а что же не забили тревогу родители этих ребят, видя, что те вдруг оказались при деньгах? Увы, с родителей спрос, конечно же, должен быть, только положение в семьях у ребят сложное: у кого отца нет, у кого мать больная, отец инвалид.

Подытоживая сказанное, хочу еще раз подчеркнуть: того уровня борьбы с негативными явлениями, различными нарушениями социалистической законности, которого требует от нас сегодня партия, мы сможем достичь лишь при активной помощи и поддержке широкой общественности. А для этого нам надо работать так, чтобы своими действиями всемерно крепить и поднимать авторитет органов внутренних дел, решительно избавляться от тех, кто дискредитирует в глазах населения высокое звание сотрудника милиции.

**Н. ГИОРГАДЗЕ,**

**начальник Сабурталинского РОВД г. Тбилиси, майор милиции.**



**За игнорирование высокого звания офицеров советской милиции, действия, вызвавшие отрицательный резонанс среди работников железнодорожного транспорта и населения города начальник линейного пункта милиции ст. Келасури капитан милиции Т. Кахниашвили, инспектор ИДН ЛОВД на ст. Сухуми капитан милиции А. Оксузян и оперуполномоченный БХСС ЛОВД на ст. Сухуми капитан милиции В. Аншба уволены из органов внутренних дел.**

Это конец нашей истории. Есть и начало, не предвещавшее трагического исхода. Но

# ЧТО У ТРЕЗВОГО НА УМЕ...

об этом позднее. А теперь факт в хронологическом порядке.

**...В тот субботний сентябрьский день прошлого года начальник линейного пункта милиции ст. Келасури капитан милиции Т. Кахниашвили и инспектор по делам несовершеннолетних ЛОВД на ст. Сухуми капитан милиции А. Оксузян дежурили в пункте милиции. Событие это, прямо скажем, не столь сенсационное. Кому из сотрудников милиции не приходилось находиться на посту в выходные или праздники. Но мы умышленно заострили внимание читателей на этой детали, чтобы показать всю вину, точнее безобразие, этих людей в мундирах стражей правопорядка.**

**Приблизительно в полночь А. Оксузян отпросился у Т. Кахниашвили и собрался идти домой. Но не знал он тогда, что домой так и не попадет. Не знал также, какой «сюрприз» уготовила ему эта ночь. Но это будет потом. А сейчас он, действительно, собирался домой. По дороге Оксузян встретил своих знакомых, затем к ним присоединилась его соседка. Встречу решили отметить. У капитана милиции в машине «нашлись» две бутылки «Шампанского». Проблему с местом тоже решили довольно просто: служебное помещение линейного пункта милиции ст. Келасури.**

**Здесь началось застолье. Красивые тосты, бурные речеизлияния, как и полагается в этих случаях... Вскоре к ним присоединился оперуполномоченный БХСС ЛОВД на ст. Сухуми капитан милиции В. Аншба, который находился уже в нетрезвом состоянии.**

**Далее события развивались стремительно. Аншба, на предложение «гостеприимных хозяев» выпить тост, вдруг наклонился к одной из знакомых Оксузян и нанес ей словесные оскорбления. Призывы к порядку не увенчались успехом. Начался спор, который перешел в драку. Приемам рукопашного боя у них можно было только поучиться. Дуэт Кахниашвили—Аншба разнимал буфетчик ресторана Т. Тодуа. Другая группа Оксузян и К°, решив замести следы, уехала, не забыв при этом прихватить оставшееся шампанское.**

Ночное приключение закончилось трагически. На место «происшествия» прибыло руководство ЛОВД на ст. Сухуми, а Аншба был доставлен в травматологический пункт Сухумской горбольницы.

Итак, факт налицо. Сотрудники милиции в служебном помещении, при исполнении служебных обязанностей, на виду у граждан распивали спиртные напитки. И это в то время, когда сами должны по долгу службы пресекать подобные явления.

Могут ли такие люди призывать к порядку других, если сами являются олицетворением безобразия? Смешно, не правда ли? Также, как и смешон сотрудник ГАИ, сам нарушающий правила дорожного движения. Или, скажем, учитель, читающий ученикам мораль, сам является образцом аморальности.

Право было руководство Грузинского УВДТ, политического отдела, приняв решительные меры, уволив из органов внутренних дел таких вот горе-сотрудников.

Но удивительно другое: как могли столько времени не распознать их истинного лица руководители подразделения, коллеги, друзья и знакомые. А когда произошло «ЧП», только тогда забили в колокола. Неужели нельзя было это сделать раньше?..

**А. СААКАДЗЕ.**

# УЧАСТКОВЫЙ ИНСПЕКТОР



**После демобилизации из рядов Советской Армии Валико Бегнашвили принял решение пойти работать в органы внутренних дел. Более двух десятилетий прошло с тех пор.**

**Ныне старший лейтенант милиции В. Бегнашвили — участковый инспектор Сигнахского РОВД. Пользуется авторитетом среди своих коллег и жителей участка.**

**Соседские, семейные конфликты, борьба с тунеядцами, работа с ранее судимыми, трудоустройство лиц, не занятых общественно полезным трудом, борьба с пьянством и алкоголизмом, профилактические беседы с населением... Словом, дел и забот у участкового инспектора не перечесть. И везде он успевает, и всегда он там, где трудно человеку, где нужна его помощь.**

**О себе Валико Бегнашвили говорит мало. Впрочем, за него много говорят его многочисленные награды, благодарности от руководства РОВД и населения.**

**НА СНИМКЕ: В. Бегнашвили.**

# ჩავუფიქრდეთ: ეს ფრიად სერიოზული საკითხია!

**გაიმართა** რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების საკოორდინაციო საბჭოს სხდომა. განიხილეს ცეცხლმსროლელი იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა დატაცების, მათი უკანონო ტარების, შენახვის, შეძენის, დამზადებისა და გასაღების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოები ყოველთვის ჯეროვან შეფასებას არ აძლევენ ზემოაღნიშნულ დანაშაულობათა საზოგადოებრივ საშიშროებას, დროულად არ ავლენენ და პასუხისგებაში არ აძლევენ დამნაშავე პირებს, ზოგჯერ არ ადგენენ მათს უახლოეს გარემოცვას, კონკრეტულ მიზეზებსა და პირობებს, რომლებიც ხელს უწყობს ამ სამართალდარღვევათა ჩადენას.

ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა იარაღის, ტყვია-წამლისა და ასაფეთქებელ ნივთიერებათა რეგისტრაციის, შენახვისა და გამოყენების წესების დაცვას. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გახშირდა უბედური შემთხვევები, რომლებიც იწვევენ ადამიანის დაღუპვას და დაშავებას, გაიზარდა მკვლელობების, ყაჩაღური თავდასხმების, ძარცვის, ბოროტი ხულიგნობისა და ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენებით ჩადენილ სხვა საშიშ დანაშაულობათა რიცხვი.

არცთუ იშვიათად იარაღი ხვდება არა მარტო დამნაშავეების, არამედ აგრეთვე ცალკეული თავქარიანი ახალგაზრდების ხელში რაც ხელს უწყობს ახალგაზრდობის ამ ნაწილში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებებისა და განწყობილების გავრცელებას.

ამ საშიში და ანტისოციალისტური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებისათვის შინაგან საქმეთა, პროკურატურის ორგანოებმა და სახალხო სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა დროული, ხარისხოვანი გამოძიება და განხილვა, არ დაუშვან დამნაშავეთა მიმართ გაუმართლებელი ლიბერალიზმისა და შემრიგებლობის ფაქტები, თითოეულ შემთხვევაში დაადგინონ ყველა პირი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან დანაშაულის ჩადენასთან. ფართოდ უნდა განუმარტონ მოსახლეობას ამგვარ სამართალდარღვევათა საზოგადოებრივი საშიშროება, ახალ საფეხურზე აიყვანონ გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობა.

ამას კერძოდ, ხელს შეუწყობს მონკავშირის ზოგიერთი წევრის წინადადება სანადირო იარაღის ცენტრალიზებული შენახვის ორგანიზაციის შესახებ ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამზადებს შესაბამის ღონისძიებებს. დასახულია მონკავშირის წევრთა გლუვლულიანი სანადირო თოფები თავმოყრილ იქნეს შინაგან საქმეთა ორგანოებში, სადაც უზრუნველყოფენ მათს შესაბამისად დაცვა-შენახვას. მფლობელებს იარაღი მიეცემათ სათანადო საბუთის წარდგენისას მხოლოდ ნადირობის დროისათვის და იმ პირობით, რომ უსათუოდ დააბრუნებენ მას შენახვის პუნქტებში. ეს თავიდან აგვაცილებს ბევრ უბედურ შემთხვევას, და ზოგჯერ დანაშაულობებსაც, რომლებიც ხდება სანადირო თოფების გამოყენებით, განსაკუთრებით სიმთვრალის, ოჯახის წევრებისა და მეზობლების უსიამოვნებათა ნიადაგზე. ღონისძიება ხელს შეუწყობს აგრეთვე ნადირობის წესების დაცვისადმი კონტროლის გაძლიერებას, ბრაკონიერობასთან ბრძოლის გააქტიურებას. ასეთი ექსპერიმენტი უკვე მიმდინარეობს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონსა და გორის რაიონში.

ამავე დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ამუშავებს კომპლექსურ ღონისძიებებს, რათა ყოველმხრივ გაძლიერდეს მუშაობა იმ პირთა გამოსავლენად და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად, ვინც განაგრძობს ცეცხლმსროლელი იარაღის უკანონო შენახვას და ცდილობს გამოიყენოს იგი დანაშაულებრივი მიზნით.

ადგილობრივმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გააცნონ მოქალაქეებს კანონის მოთხოვნა, რომ პირი, რომელმაც ნებაყოფლობით ჩააბარა უკანონოდ შენახული ცეცხლმსროლელი იარაღი, ტყვია-წამალი და ასაფეთქებელი ნივთიერებანი, თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

ფართო საზოგადოებრიობამ, თითოეულმა ოჯახმა, სასწავლებელმა, ყოველმა შრომითმა კოლექტივმა ყველაზე დაინტერესებული მონაწილეობა უნდა მიიღონ იარაღისა და საფეთქებელი ნივთიერებების უკანონო შენახვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაში, ფართოდ იწეოდნენ დამატებითს მუშაობას განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, ახორციელებდნენ ღონისძიებებს ამ ძალზე საშიშ დანაშაულობათა თავიდან აცილებისა და აღმოფხვრისათვის. მარტო ამ გზით მივაღწევთ რესპუბლიკაში სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას.

(საქინფორმი)

# უღირსი დედა

**ყველასათვის** კარგად არის ცნობილი, თუ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა რა დიდ ყურადღებას აქცევს მომავალი თაობის აღზრდის საქმეს. ამას მოწმობს თუნდაც უკანასკნელ პერიოდში მიღებული მთელი რიგი საკანონმდებლო დოკუმენტები დედათა და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის განმტკიცებისათვის, მათი პრივილეგიების გაზრდისათვის.

დედობა უდიდესი პასუხისმგებლობაა და დიდი მოვალეობის წინაშე აყენებს თითოეულ ქალს, მათზე ბევრად არის დამოკიდებული მოზარდი თაობის შეგნებისა და ზნეობის ფორმირება, ის, თუ რამდენად ღირსეულ შვილს აღუზრდი ქვეყანას. შენს ხალხს. ტყუილად კი არ უთქვამს ჩვენს ბრძენ წინაპარს; „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“-ო და ამაში კი დედის დამსახურება დიდია.

მაგრამ, სამწუხაროდ, გვხვდებიან ისეთი დედები, რომლებიც ტოვებენ შვილებს და მოხეტიალე ცხოვრებას იწყებენ.

ასეთი გახლავთ დუშეთის რაიონის მკვიდრი, სოფელ ბიჩნიგაურებში მცხოვრები ლალი ზაქარიას ასული ბადაგაძე, დაბადებული 1956 წელს. იგი რამდენიმე წლის წინათ ცოლად გაჰყვა ქ. დუშეთში მცხოვრებ რევაზ თედოს ძე მჭედლიშვილს. შეეძინათ ქალიშვილი, მაგრამ ლალი ბადაგაძემ ოჯახს გული ვერ დაუდო და ქმარ-შვილი მიატოვა. დუშეთის სახალხო სასამართლომ მას ბავშვის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდა დააკისრა და ეს რომ თავიდან აეცილებინა, ლ. ბადაგაძე ცოლად გაჰყვა ხარაგოულის რაიონის სოფელ ხიდარში მცხოვრებ ელგუჯა პავლეს ძე ბერაძეს, ვაჟიშვილიც შეეძინათ, მაგრამ...

ვაჟიშვილის ძეობის შემდეგ ლალი თავისი ქმარ-შვილით სოფელ ბიჩნიგაურებში მშობლებს ესტუმრა, საიდანაც ერთ-ერთ ოჯახში მოწყობილი წვეულებიდან ცოლად გაჰყვა მცხეთის რაიონში მცხოვრებ ვიღაც პიროვნებას.

არც აქ იცხოვრა ლალიმ დიდხანს. 10 დღის შემდეგ ისიც მიატოვა და კვლავ დასავლეთ საქართველოს მიაშურა, სადაც ამორალურ ცხოვრებას ეწევა, არ მუშაობს, არ გააჩნია მუდმივი ადგილსამყოფელი, 1984 წლის 1 მარტიდან არ გადაუხდია ალიმენტი.

დუშეთის შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა მიაგნეს ლალი ზაქარიას ასულ ბადაგაძის კვალს. მალე იგი ალიმენტის გადაუხდელობისათვის სათანადოდ დაისჯება.

შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებს გვამართებს მეტი ყურადღება გავამახვილოთ იმ ოჯახების მიმართ, რომლებიც ითვლებიან არაკეთილსაიმედოდ, ვინაიდან ისინი არიან ძირითადი მიზეზი მოზარდთა დამნაშავედ ჩამოყალიბებაში.

**ა. ჩხუტიაშვილი.**

**დუშეთის შს რაიგანყოფილების საპასპორტო სამსახურის უფროსი, მილიციის კაპიტანი.**

ФОТОРЕПОРТАЖ

# НАЙТИ ЧЕЛОВЕКА



Хотите знать, какой самый популярный адрес в Тбилиси? Спросите на Главпочтамте и вы получите ответ: проспект Церетели, 8. Центральное адресное бюро Управления по охране общественного порядка МВД Грузинской ССР, которое находится по этому адресу, в день получает более ста писем. Пишут сюда со всех концов нашей страны и из-за рубежа.

Говорят, что мир тесен, но в нем так легко затеряться. И помочь найти друг друга призвана эта служба. Много писем со словами благодарности хранит архив адресного бюро.

Вот письмо Поляковой из Запорожья. Она искала нужных ей врачей, не зная ни имен, ни отчеств. И тем не менее, она получила их адреса.

Благодаря работникам ЦАБа, Попов из Свердловска нашел своего фронтового друга, Роднина из Астрахани нашла сестру, с которой она потеряла связь в годы войны. Спустя тридцать лет встретился со своей сестрой и Родионов из города Антрацит.

Письма, которые идут сюда, требуют от работников бюро особого внимания, чуткости. И даже на просьбу «найти красивого голубоглазого грузина, который играет на гитаре и чудесно поет» отвечать надо вполне серьезно. Ведь за каждым таким письмом характер человека, его судьба.

Однажды почтальон принес письмо из Ленинграда, на конверте которого было написано: «В ваших руках жизнь моей дочери». Ветеран войны, командир 156-го стрелкового полка Кравцов просил найти фронтового друга. Помнил только то, что фамилия его Дадиани и он уроженец Тбилиси. Больше никаких данных. В конверте был еще конверт, предназначенный уже Дадиани. Начались кропотливые поиски и вскоре они увенчались успехом. В письме своему фронтовому другу Кравцов писал, что его дочь тяжело больна и спасет ее только один препарат, достать который можно лишь в одном из научно-исследовательских институтов Тбилиси. Дадиани выполнил просьбу друга. Жизнь человека была спасена.





Разные приходят сюда письма. Иногда с просьбой выслать слова песни «Сулико» на русском языке, пластинки грузинских народных песен и даже... грузинский национальный костюм. Но ни одна просьба не остается без внимания, потому что работают здесь чуткие и отзывчивые люди, такие, как С. Кикадзе.

Центральное адресное бюро создано в 1933 году одновременно с введением в нашей стране паспортной системы. В последние годы здесь установили новую автоматическую картотеку, которая не только облегчила работу, но и сделала хранение адресных листов более надежным и долговечным.

Картотека адресного бюро — это своеобразная анкета республики. Оказывается живут у нас шведы, итальянцы, французы, китайцы, представители многих наций и народностей — всего 97. А хотите, к примеру, узнать какая самая длинная грузинская фамилия? Петремгвдлишвили. Самая короткая — Чая. Самая распространенная — Майсурадзе. Редкие фамилии — Киркасишвили, Хочава, Акоти, Гаадзе, Кеванишвили. Живут у нас Владимиры Ульяновы, Акакий Церетели, Николозы Бараташвили, Георгии Саакадзе, Ильи Чавчавадзе.

Вот сколько всего может поведать картотека, которая насчитывает около 4-х миллионов адресных листов. Раньше, чтобы найти нужного человека, требовалось пятнадцать минут, теперь время поисков значительно сократилось. Достигнуто это благодаря технике, но еще больше хорошей организации всего дела.

**В. МИРОШНИЧЕНКО.**

**НА СНИМКАХ: во время работы в картотечном зале.**

Фото **С. Сычева.**

# В ЗАПИСНУЮ КНИЖКУ ДРУЖИННИКА

Народные дружинники, активно участвующие в борьбе с правонарушениями, поощряются исполнительными комитетами местных Советов народных депутатов и соответствующими государственными органами, учреждениями, предприятиями и общественными организациями в пределах их компетенции путем:

объявления благодарности;

награждения Почетной грамотой;

занесения в Книгу Почета;

выдачи подарка или денежной премии;

награждения нагрудным знаком «Отличный дружинник»;

предоставления дополнительного оплачиваемого отпуска сроком до трех дней;

предоставления преимущественного права на получение жилой площади;

предоставления льготной путевки в санаторий или дом отдыха.

К дружинникам, которые недобросовестно относятся к выполнению своих обязанностей, могут применяться по решению общего собрания или штаба дружины следующие взыскания:

предупреждение;

выговор;

строгий выговор;

исключение из дружины.

Об исключении дружинника из дружины уведомляется общественная организация, давшая ему рекомендацию.

## ТЕРРИТОРИАЛЬНЫЕ НАРОДНЫЕ ДРУЖИНЫ

За этими дружинами закрепляется для постоянного обслуживания определенная территория: микрорайон, парк, улица, территория поселкового или сельского Совета.

## СПЕЦИАЛИЗИРОВАННЫЕ НАРОДНЫЕ ДРУЖИНЫ

В целях лучшей организации работы по борьбе с отдельными видами правонарушений создаются специализированные дружины или специализированные группы в составе дружин по борьбе с хищениями социалистической собственности и спекуляцией, по предупреждению правонарушений несовершеннолетних, по обеспечению безопасности дорожного движения и по другим направлениям деятельности ДНД.

**ოთარ** ტრაპაიძე პარტიის რაიკომის შენობას რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა. იქნებ სჯობდეს, სულაც არ შეაწუხოს მდივანი და მის გამოძახებას დაელოდოს. რა მოხდა მერე? დიდი საქმე, ვიღაც ახალგაზრდამ ანონიმური წერილი დაწერა. თვითონ ოთარმა ხომ კარგად იცის, რვეულის ამ ფურცელზე რაც დაუჯღაბნიათ, ყველაფერი მოგონილია და აშკარა სიცრუე გახლავთ. ამას ერთი გული რომ ეუბნებოდა, მეორე კიდევ პირიქით, უყიჟინებდა. იმ წერილის უკან დიდი, საქმეები იმალება, საჭიროა ყველაფრის საქმის კურსში რაიკომის მდივანი ჩააყენოო.

ოთარ ტრაპაიძე შენობაში რომ შევიდა, უკვე აღარ მერყეობდა, მტკიცედ აჰყვა ზემოთ მეორე სართულისაკენ მიმავალ საფეხურებს. მერე განიერ დერეფანს ხელმარჯვნივ გაჰყვა და მოზრდილ ოთახს მიადგა. დიდ საწერ მაგიდასთან ხანშიშესული სათვალიანი ქალი იჯდა, მაგიდაზე ქაღალდები ბლომად გაეშალა და გულმოდგინედ ალაგებდა. კარის გაჭრიალების ხმა რომ გაიგონა, შემობრუნდა და სათვალეს ზემოდან ოთარს გამოხედა.

# მზე ისევ გამოანათებს

**ზაალ მეხენგისერი**

— გამარჯობათ. დეიდა თამარ!

— გამარჯობათ, ოთარ. — თქვა იმ ქალმა და ტრაპაიძეს გაუღიმა.

— დეიდა თამარ, ამხანაგი თენგიზი აქ არის?

— აქ გახლავთ, შესვლა გინდოდათ?

— დიახ, თუ დრო ექნება, სულ ათი წუთით მიმიღოს.

— ჯერ აღმასკომის თავმჯდომარე და მთავარი არქიტექტორი ჰყავს, როგორც კი გამოვლენ, მოვახსენებ.

ის ორი კაცი მდივნის კაბინეტიდან საუბრით გამოვიდა. ასევე საუბრით გაიარეს მთელი მისაღები, ოთარს მიესალმნენ და ოთახიდან გავიდნენ. დეიდა თამარი მაშინვე იმ კარში გაუჩინარდა. ცოტა ხანში ზღურბლზე ისევ გამოჩნდა და ტრაპაიძეს თვალით ანიშნა, შებრძანდიო.

ოთარი შევიდა და სანამ კარს ზურგს უკან მიიხურავდა, შედგა. რაიკომის მდივანიც ფეხზე იდგა. სწორედ საწერი მაგიდის უკან იდგა, კარისაკენ იყურებოდა. ტრაპაიძეს ერთი შეავლო თვალი და ორივე ხელი გაშალა.

— მოდი, ოთარ, მოდი.. ალბათ ისევ ჩაეფლე საქმეებში, იშვიათი სტუმარი გახდი.

— არც უმაგისობაა, ამხანაგო თენგიზ.

ოთარი ჩქარი ნაბიჯებით წავიდა და მდივანს ხელი ჩამოართვა, მერე მიპატიჟებას არც კი დალოდებია ისე დაჯდა სკამზე. რაიკომის მდივანმა საათს დახედა, ოთარი ყველაფერს მიხვდა, შეიშმუშნა და ხმადაბლა თქვა:

— მე სულ ათ წუთს წაგართმევთ. ამხანაგო თენგიზ.

— არა უშავს, ცოტა მეტიც შეიძლება, მერე ერთ თათბირს უნდა დავესწრო.

— დიდხანს არ დაგაყოვნებთ, — კვლავ მოიბოდიშა ოთარმა.

— ჰო, ბრძანე, რაშია საქმე, შენ ტყუილად არ გაირჯებოდი.

ტრაპაიძემ ორივე ხელი რბილ მწვანე მაუდზე გაშალა, მისადგმელ მაგიდას რომ ჰქონდა გადაფარებული. ჩაახველა.

— ალბათ თქვენთან უკვე მოვიდა ჩემზე ანონიმური წერილი.

მდივანმა გაიღიმა.

— დიახ, ერთი კი არა, უკვე სამი მოვიდა.

— ჰო, ეგ კი არ ვიცოდი. მე ერთი მეგონა.

— არა, უკვე სამი მოვიდა ოთარ.

— რაიკომის მდივანმა წარბები შეიკრა. მე შენ ძალიან კარგად გიცნობ, იმათაც, ანონიმური წერილების მჯღაბნელებსაც ვიცნობ.

— მაშ, თქვენ უკვე იცით ვინც დაწერა? სახე გაუნათდა ოთარს.

— არა, საერთოდ ვამბობ. ისინი ბლომად არიან და თითქმის ყველგან, ოღონდ სხვადასხვა მეთოდით და სტილით მოქმედებენ. მათ შორის ჭკვიანებიც არიან, რომლებიც ისე კოხტად და დამაჯერებლად შეთხზავენ ამბავს, დაგაეჭვებენ კიდეც. ეს წერილები კი ძალიან მწარედ დაწერილია. ალბათ მისმა ავტორებმა არ იცოდნენ, რომ შენმა მთელმა ცხოვრებამ ჩემს თვალწინ გაიარა, თორემ იმას არ დაწერდნენ, რომ შენ ბანდის წევრი იყავი, მაგრამ ეს წერილები კარგი სიგნალია. იქ, თქვენთან, რაღაც ხდება. შენ ალბათ დაინტერესდი ბევრი რამით. გამიგე რას ვამბობ?

— მესმის, ამხანაგო თენგიზ.

— საინტერესოა. ვინ არის ეს ხალხი? თუ ისინი უბრალო მუშაკები არიან და ამ მეურნეობაში ბევრი არაფერი ეკითხებათ, ეს კიდევ ჰა და ჰა, მაგრამ ახლა შენ უკვე წინა ხაზზე აღმოჩნდი. ბევრი რამაა შენზე დამოკიდებული. პირად მაგალითზე, პრინციპულობაზე. უნდა შემოიკრიბო ჯანსაღი ბირთვი და გამოწვევას უნდა უპასუხო. ჰო, მართლა. ერთი ეს მითხარი, მთავარ აგრონომზე რას ფიქრობ, როგორი კაცია?

— მე მგონი პატიოსანი და კარგი მუშაკია.

— დარწმუნებული ხარ?

— ჯერჯერობით მე სხვა საბუთი არა მაქვს.

— არა, საქმე რაშია. იცი? ბერძული იყო ამას წინათ და კარგა გვარიანად გამოლანძღა. ადრე სულ აქებდა. ახლა კიდევ რატომღაც სხვა აზრი გამოთქვა.

— ბერძულმა? — იკითხა ტრაპაიძემ.

— ჰო, ბერძულმა, აბა კიდევ ვინ.

— ჩემთან კი აქო.

— აქო?

— ჰო, აქო. ზურაბ ერგემლიძემ დირექტორი საერთო კრებაზე გააკრიტიკა.

— ვიცი, ოქმი წავიკითხე. გააკრიტიკა და თანაც საფუძვლიანად.

— მიუხედავად ამისა ბერძულის პირადად ჩემთან ზურაბზე საყვედური არ წამოცდენია. ნუთუ ყველაფერი ეს ცუდად შენიღბული დიპლომატიაა? არ მინდა დავიჯერო.

— ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად აწონე. ჩვენ შენ გენდობით.

(დასაწყისი. მგზს № 1, 2,|3, 4. 5, 6,) (გაგრძელება იქნება).

# ЛИЧНОСТЬ КВАРТИРНОГО ВОРА

(Продолжение)
(Начало см. «МГБС» 5, 6)

Весьма существенное влияние на формирование личности квартирного вора оказывает связь с ранее судимыми, иными антиобщественными элементами. Влияние ранее судимых, проявляясь в различных формах (убеждение, подстрекательство, личный пример и т. п.), создает в ряде случаев у отдельных лиц представление о возможности безнаказанно завладеть имуществом, деньгами, другими ценностями посредством совершения квартирных краж.

В ходе исследования подтвердилось негативное воздействие на формирование личности изученных лиц кинофильмов, передач, книг, в которых похождения воров и иных преступников, потребительские стереотипы «красивой жизни» показываются с сочувственной интонацией или в юмористическом плане, без четко выраженного нравственного осуждения.

Антиобщественное поведение многих квартирных воров характеризовалось не только пренебрежительным отношением к труду, но и систематическим пьянством, нравственной распущенностью. Пристрастие к спиртным напиткам, стремление к их приобретению нередко являлись непосредственным поводом совершения кражи. Таким образом, непременным условием сокращения количества квартирных краж является дальнейшее усиление борьбы с пьянством.

Материалы исследований дают основание утверждать, что нравственная деградация личности многих квартирных воров и развитие ее антиобщественной нравственности начались задолго до совершения преступления. Так, свыше половины изученных лиц в течение года, предшествующего началу преступной деятельности, совершали мелкое хулиганство или иные нарушения общественного порядка; 45,8% — вели паразитический образ жизни; 47,6% — систематически употребляли спиртные напитки; 6,5% — доставлялись в медвытрезвитель, причем многие по два и более раза.

Нередко квартирные воры еще до совершения первой квартирной кражи уже подвергались различным мерам административного и общественного воздействия.

Вместе с тем, значительная часть квартирных воров после применения мер административного и общественного воздействия продолжала совершать правонарушения, а также другие антиобщественные поступки. Это в определенной степени свидетельствует о недостаточной эффективности применявшихся мер, либо формальном их осуществлении без извлечения надлежащего воспитательного урока.

В своем большинстве кражи из квартир обычно совершаются в одиночку, нередко — без предварительного изучения места преступления и личности потерпевшего. Отмеченные особенности позволяют заключить, что между квартирными кражами сегодняшнего дня и аналогичными преступлениями конца шестидесятых годов имеются существенные отличия, поскольку последние, как правило, совершались группами лиц по предварительному сговору и после тщательной подготовки. Эти изменения в характере совершения квартирных краж важно учитывать непосредственно на практике при организации работы по предупреждению и раскрытию указанных преступлений.

Одним из отличительных признаков личности квартирного вора является устойчивость антиобщественной направленности поведения, взглядов, привычек, проявляющаяся в повторном совершении преступлений.

**В. КУЗНЕЦОВ,**
кандидат юридических наук.

(Окончание следует.).

# ცხელ კვალზე

**...მცხეთის** რაიონის სოფელ ციხისძირში, მუხრანის გადასახვევთან წუთით შეჩერდა სოხუმიდან თბილისისაკენ მიმავალი სამგზავრო ავტობუსი, რომელმაც მგზავრები ჩამოსვა და ის იყო წასვლა დააპირა, რომ ავტობუსში ორი მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა ავიდა. ისინი გამომწვევად იქცეოდნენ და შეურაცხყოფდნენ ავტობუსში მყოფთ. მძღოლი იძულებული გახდა გაეჩერებინა ავტობუსი და თავაწყვეტილი ხულიგნებისათვის ავტობუსიდან ძირს ჩასვლა ეთხოვა. მძღოლის და მგზავრების სამართლიანი მითითება იწყინეს ახალგაზრდებმა და ძირს ჩამოსვლისთანავე ერთ-ერთმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მუცლის არეში დაჭრა ავტობუსის სათადარიგო მძღოლი ვ. ვართანოვი, იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. ბოროტმოქმედი, შემთხვევის ადგილიდან თავის დაღწევის მიზნით, იარაღით ხელში გადაუდგა თბილისისაკენ მიმავალ ავტომანქანა „ნივას" მძღოლს ი. კუზეიშვილს, რომელმაც მუქარით და იძულებით წაიყვანა თბილისის მიმართულებით. ბოროტმოქმედმა ი. კუზეიშვილი ნატახტრის სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოსთან დაჭრა კისრის არეში, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა მცხეთის რაისაავადმყოფოში. ამის შემდეგ დამნაშავემ, ისევ იარაღის მუქარით, გაიტაცა იქვე, საგუშაგოსთან მდგომი მოქალაქე გ. ამირანაშვილის ავტომანქანა და მიიმალა.

მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით მცხეთის რაიგანყოფილებაში სასწრაფოდ შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, რომლის ოპერატიულობისა და საზრიანი მოქმედებით დადგინდა დამნაშავის ვინაობა. ის აღმოჩნდა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში მცხოვრები, ორჯერ სისხლის სამართლის პასუხისგებაში ნამყოფი ე. მოსესტოვი, დაბადებული 1960 წელს.

დამნაშავე პიროვნების დადგენაში თავისი სიტყვა თქვეს რაიგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა, რომლებიც კარგად იცნობენ რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრებ დანაშაულებრივი წარსულის მქონე პირებს.

საჭირო იყო დამნაშავის ადგილსამყოფელის დადგენა და მისი საზოგადოებისაგან იზოლირება, აქაც თავი გამოიჩინეს შს მცხეთის რაიგანყოფილების თანამშრომლებმა, ოპერატიულმა ჯგუფმა სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი ოპერრწმუნებულის, მილიციის მაიორის ჯ. ჯიბლაშვილის ხელმძღვანელობით. დადგინდა დამნაშავის ადგილსამყოფელი თბილისში.

**თ. ბაჯაძე,**
**მცხეთის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე ოპერატიულ დარგში, მილიციის მაიორი.**

# მოზაიკა

**რამდენიმე** წლის წინათ ამერიკელ პროფესიონალ მოკრივეს რობერტ მედინას ქურდობისათვის სასამართლომ სამი წლით პატიმრობა მიუსაჯა. მაგრამ სპორტსმენმა შეძლო კარგა ხნით თავი აერიდებინა საპყრობილისათვის. უფრო მეტიც, ამ ხნის განმავლობაში თხუთმეტ ოფიციალურ შეჯიბრებაშიც მიიღო მონაწილეობა... ოღონდ ჯონ გარსიას სახელით. მეთექსმეტე შეხვედრა მედინასათვის მართლაც და საბედისწერო აღმოჩნდა. შეხვედრის ტრანსლაციის დროს პოლიციელმა იგი ეკრანიდან იცნო.

**ერთხელ** სახელგანთქმული იტალიელი კინომსახიობის ჯინა ლოლობრიჯიდას (რომელიც გასტროლებზე იმყოფებოდა) ბინაში ორი ქურდი შეიპარა. სახლში ამ დროს მხოლოდ მოსამსახურენი იყვნენ. ზუსტად ნახევარ საათში ორივე მძარცველი განიარაღებულ იქნა და პოლიციას ჩააბარეს. შემდეგ გამოირკვა, რომ ერთ-ერთი შინამოსამსახურე ქალი რამდენიმე წლის წინათ იტალიის ჩემპიონი ყოფილა ძიუდოში.

# გ. დ. კობიაშვილი



**გარდაიცვალა** საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების თვალსაჩინო მუშაკი, სკკპ წევრი 1969 წლიდან, მილიციის მაიორი გივი დავითის ძე კობიაშვილი.

დაიბადა 1947 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე 1970 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს კპ კალინინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორად. 1979 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით, დაინიშნა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსის თანამდებობაზე. 1984 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საავტომობილო ინსპექციის სამმართველოს პროპაგანდა-აგიტაციის სამსახურის უფროსად.

გ. დ. კობიაშვილი გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით, პრინციპულობით, საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, იყო საუკეთესო მოქალაქეობრივი ღირსებებით შემკული ადამიანი. ასეთივე დარჩება იგი მათ ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

**საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო.**
**საქართველოს სსრ შსს სახავტოინსპექციის სამმართველო.**

**სარედაქციო კოლეგია**
**РЕДКОЛЛЕГИЯ**

ჩვენი მისამართია: თბილისი 380025, გოგოლის ქ. № 23, ტელ. 95-66-72, 991-41-24. Наш адрес: 380025, ул. Гоголя, 23 тел. 95-66-72, 99-1-41-24
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი — 96. ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 07262